



MES 5 23 0000318391



21/03/2023

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:**

**1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო)**

**წევრები:**

**დავით მალაზონია** - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

**თამარ მამსიკაშვილი** - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

**მანანა ჯინჭარაძე** - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;

**გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;

**ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;

**პერტე ბაბილუა** - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;

**მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

**ზვიად გოგუაძე** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

**მორის დანდურიშვილი** - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;

**ეკატერინე კვირიკაშვილი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

**ნატო გაბოშვილი** - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი.

**2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)**

**წარმომადგენლები:**

**გვანცა მეტრეველი** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

**3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**შპს ხერხეში**

ბელა კაპანაძე - სკოლის დირექტორი;

**შპს ახალი ქართულ-ევროპული სკოლა**  
ლალი გარდაფხაძე - სკოლის დირექტორი

**შპს თბილისის თავისუფალი სკოლა**  
ამირან ამბროლაძე - სკოლის დირექტორი  
ირმა მეფარიძე - სკოლის დირექტორის მოადგილე  
თათია ზარქუა - სკოლის იურისტი

**4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):**

**შპს ხერხემი**  
ნანა მონიავა  
ირმა ხუციშვილი

**შპს ახალი ქართულ-ევროპული სკოლა**  
ირინა დვალი  
ვერა ყურულაშვილი

**შპს თბილისის თავისუფალი სკოლა**  
ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი  
ვერა ყურულაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2023 წლის 06 მარტს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:**

1. შპს ხერხემის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ახალი ქართულ-ევროპული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის თავისუფალი სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

#### 4. შპს სკოლა ახალ თაობაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა განაცხადა, რომ შპს ახალი ქართულ-ევროპული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვასთან მიმართ ჰქონდა თვითაცილება, რადგან შრომითი ურთიერთობა აკავშირებდა დაწესებულებასთან.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა დააყენა ცენტრის წარმომადგენელმა, კერძოდ, საბჭოს გააცნო შპს სკოლა ახალი თაობის მიერ ცენტრში წარმოდგენილი წერილი, რომლითაც დაწესებულება ითხოვდა უახლოეს საბჭოს სხდომაზე შპს სკოლა ახალ თაობაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის შესახებ საკითხის გადადებას, რადგან დაწესებულების დირექცია და ადმინისტრაციის წარმომადგენლები სხდომის მიმდინარეობის დროს არ იმყოფებოდნენ საქართველოში.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა. წარმოდგენილი შუამდგომლობების გათვალისწინებით, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. შპს ხერხემის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ახალი ქართულ-ევროპული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის თავისუფალი სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

#### 1. შპს ხერხემის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნანა მონიავამ და ირმა ხუციშვილმა. ექსპერტმა, ნანა მონიავამ განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25, 26 და 27 იანვარს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ახალციხეში, დიდმამიშვილის ქ. N3-ში. ნანა მონიავას განმარტებით, წინა ვიზიტის დროს სკოლამ მიიღო რეკომენდაცია ლაბორატორიით სარგებლობის წესების თვალსაჩინო ადგილას განთავსებისა და მოსწავლეებისთვის გაცნობის შესახებ. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაციები და ლაბორატორიებში თვალსაჩინოდ იყო გამოკრული ლაბორატორიით სარგებლობის წესები, რომელიც დაწესებულებამ სასწავლო წლის დასაწყისში გააცნო მოსწავლეებს.

ექსპერტ, ნანა მონიავას განცხადებით, სასკოლო სასწავლო გეგმის დანართად წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები არ იყო შესაბამისობაში ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. ადმინისტრაციასთან გასაუბრების შემდეგ, დაწესებულებამ წესდების შესაბამისად შეიტანა ცვლილებები და ვიზიტის პერიოდშივე წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმის დანართად შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ დაწესებულებას ვიზიტის პერიოდში სსსმ მოსწავლე არ ჰყავდა. ნანა მონიავამ აღნიშნა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა „სასკოლო სასწავლო გეგმის გადახედვისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები“, სადაც გაწერილი იყო ეტაპები და წარმოდგენილი იყო ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელშიც გათვალისწინებული იყო დაგეგმილი აქტივობების რაოდენობა, სიხშირე და პერიოდულობა.

ექსპერტ, ნანა მონიავას განცხადებით, შენობა იყო ორსართულიანი, სადაც განთავსებული იყო 20 ოთახი, მათ შორის, 12 საკლასო ოთახი, ექიმის კაბინეტი, სამასწავლებლო, დირექციის კაბინეტი, 2 საბუნებისმეტყველო კაბინეტი, ისტის ლაბორატორია, ბიბლიოთეკა და სპორტული დარბაზი. სკოლას არ ჰქონდა ეზო, მიუხედავად იმისა, რომ სკოლის წინ იყო სივრცე, რომელიც არ იყო დაწესებულების საკუთრებაში, შესაბამისად, არ იყო შემოსაზღვრული. საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო ასაკობრივი თავისებურებებით გათვალისწინებული მერხებითა და სკამებით, მასწავლებლის მაგიდით და სკამით, დაფებით, წიგნის თაროებით. დაწესებულებაში იყო 195 მერხი, რომელთაგან 22 იყო ორ ადგილიანი, 173 ინდივიდუალური, 15 დაფა, მათ შორის, 2 თეთრი დაფა-მარკერის და 13 ცარცის. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში გასათბობად იყენებდნენ შეშის ღუმელებს. მისივე თქმით, სკოლის შენობის მეორე სართულზე იყო 66.1 მ<sup>2</sup>-ის სპორტული დარბაზი, რომელსაც ასევე გასათბობად სჭირდებოდა შეშის ღუმელი. ექსპერტის განმარტებით, სკოლას ჰქონდა 2 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ქიმიისა და ფიზიკა-ბიოლოგიის. ქიმიის ლაბორატორია აღჭურვილი იყო ონკანით და ნიავედებოდა ბუნებრივი გზით. ექსპერტებმა გასცეს სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით რეკომენდაცია, რომ ქიმიის კაბინეტი-ლაბორატორია აღეჭურვათ სადემონსტრაციო მაგიდით და გამწოვით. ნანა მონიავას განცხადებით, დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდშივე დაიწყო გამწოვისთვის კონსტრუქციის შექმნა, ხოლო სადემონსტრაციო მაგიდა ვიზიტის პერიოდშივე დაამზადა.

ექსპერტმა, ნანა მონიავამ განაცხადა, რომ გოგონებისთვის განკუთვნილი საპირფარეშოები იყო მოწესრიგებული, ხოლო ვაჟებისთვის განკუთვნილ ინდივიდუალურ კაბინებში არ იყო დამონტაჟებული წყლის ავზები. ექსპერტმა რეკომენდაციის შემდეგ, ვიზიტის პერიოდში, არსებული პრობლემა გადაიჭრა და ყველა სველ წერტილში დამონტაჟდა წყლის ავზი. ნანა მონიავას თქმით, ვაჟების საპირფარეშოს შესასვლელს არ ჰქონდა კარი. მისივე განმარტებით, ვიზიტის პერიოდშივე სკოლამ აღმოფხვრა აღნიშნული პრობლემა და საპირფარეშოს საერთო შესასვლელში დამონტაჟდა კარი.

ექსპერტის განცხადებით, სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენდა 4070 ერთეულს, მათგან მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა 3610, დანარჩენი 460 იყო სკოლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმით შერჩეული სასკოლო სახელმძღვანელოები. ბიბლიოთეკაში განთავსებული იყო დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი.

ექსპერტ, ნანა მონიავას განცხადებით, სკოლას ჰქონდა ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. კიბეებზე დამონტაჟებული იყო ასაკეცი პანდუსი. ადაპტირებულ სველ წერტილში დამონტაჟებული იყო მოაჯირი ეტლით მოსარგებლე პირებისთვის, თუმცა ეტლით შესვლა იყო შეუძლებელი, რადგან კარის სიგანე არ იყო შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ ცენტრში გამოაგზავნა აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის დამადასტურებელი ფოტო მასალა, რომლის მიხედვითაც სკოლას გაფართოებული ჰქონდა ადაპტირებულ სველ წერტილში შესასვლელი კარი.

ექსპერტ, ნანა მონიავას თქმით, ექიმის კაბინეტი არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/501-23/ნ ერთობლივი ბრძანების მოთხოვნებს. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდშივე გადაიტანა სამედიცინო ოთახი სხვა სივრცეში. მისი განმარტებით, კაბინეტს ჰქონდა შესაბამისი აღჭურვილობა, თუმცა ოთახში წარმოდგენილი იყო ხელსაბანი, რომელსაც არ ჰქონდა გამდინარე წყალი. ექსპერტის თქმით, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ ცენტრში გამოაგზავნა ექიმის კაბინეტში წყლის ონკანის დამონტაჟების დამადასტურებელი მასალები. სკოლას ჰყავდა ექთანი, ხოლო ექსპერტების რეკომენდაციის შემდეგ, ვიზიტის პერიოდშივე გამოაცხადა ექიმის შესახებ ვაკანსია.

ექსპერტ, ნანა მონიავას განცხადებით, დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში დაამონტაჟა დამატებითი კამერები გარე პერიმეტრზე, რადგან გარე სივრცის ნაწილი არ კონტროლდებოდა. ასევე, არ კონტროლდებოდა შიდა სივრცის ნაწილიც, რასთან დაკავშირებითაც, ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის შედეგად, დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდშივე დაამონტაჟა დამატებითი ვიდეო-კამერები. ექსპერტმა დაამატა, რომ აღნიშნულის შემდეგ სრულად იყო შესაძლებელი შენობის როგორც შიდა, ასევე, გარე პერიმეტრის გაკონტროლება.

ექსპერტმა, ნანა მონიავამ აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა სასკოლო-სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური რესურსი. სკოლაში დასაქმებული იყო 25 მასწავლებელი, მათგან 15 უფროსი სტატუსის, 2 მაძიებელი, ხოლო 8 მათგანი იყო მოწვეული. ექსპერტმა, აქვე, განაცხადა, რომ დოკუმენტაციის შესწავლისას რამდენიმე შრომით ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული მასწავლებელთა სტატუსი, შესაბამისი მოვალეობები და შრომის ანაზღაურების ოდენობა. ექსპერტთა ვიზიტის დროს, დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაციები და ხელშეკრულებებში შეიტანა ცვლილებები.

ექსპერტ, ნანა მონიავას განმარტებით, მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებისას დაზუსტდა, რომ სკოლაში ხორციელდებოდა სხვადასხვა პროექტები, კონკურსები და აქტივობები. მშობლებმა აღნიშნეს, რომ მათი შვილები თავს გრძნობდნენ უსაფრთხოდ და დაცულად.

ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა განაცხადა, რომ სკოლაში იყო თანამშრომლობითი გარემო და მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მაღაზონიამ კითხვით მიმართა სკოლას, თუ როგორ იყენებდა საკუთარი მიზნებისთვის დაწესებულება ეზოს და როგორი იყო უსაფრთხოების სისტემა. მან, ასევე, აღნიშნა, რომ შეშის ღუმელი მოსწავლეების ჯანმრთელობისთვის იყო მავნე. დავით მაღაზონია დაინტერესდა რამდენად აწუხებდა სკოლას წლების განმავლობაში გამონაბოლქვი.

სკოლის დირექტორის, ბელა კაპანაძის განმარტებით, შენობა იყო ნაქირავები და მოცემულ მომენტში მიმდინარეობდა მოლაპარაკება შენობის შესყიდვასთან დაკავშირებით და იგეგმებოდა რემონტი. სამომავლოდ სკოლას გათვალისწინებული ჰქონდა შეშის ღუმელების ჩანაცვლება ელექტრო ღუმელებით. მან, ასევე, ისაუბრა უსაფრთხოების საკითხზე და განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა მორიგეობის განრიგი, რის მიხედვითაც მასწავლებლები, მოსწავლეთა თვითმართველობის წარმომადგენლები და მშობლები მორიგეობდნენ ეზოში, რადგან შესვენების დროს მოსწავლეები სარგებლობდნენ სკოლის ეზოს ტერიტორიით.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლას, თუ რა პრობლემები იყო გაზიფიცირებასთან დაკავშირებით, რამდენად იყო უსაფრთხო შეშის ღუმელი სპორტულ დარბაზსა და საკლასო ოთახებში. ასევე, მას დაინტერესებდა, იყო თუ არა დაწესებულების სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიან სამოქმედო გეგმებში გაწერილი ინვენტარის განახლება და რამდენად თვლიდა ხარვეზის აღმოფხვრად დაწესებულება ექთნის ოთახში მხოლოდ ხელსაბანის დამონტაჟებას. სკოლის დირექტორმა, ბელა კაპანაძემ, განაცხადა, რომ

იზიარებდა ექსპერტების მოსაზრებებს. მან ისაუბრა, რომ ექთნის ოთახში შეყვანილი იყო წყალი და დამონტაჟებული იყო ონკანი. ასევე, ლაბორატორიაში დამონტაჟებული იყო გამწოვი და ბიჭების საპირფარეშოს შესასვლელს დამონტაჟებული ჰქონდა კარი. სკოლის დირექტორის თქმით, საქვების მოსაწყობად დაწესებულების ეზოში არ იყო შესაბამისი სივრცე, რადგან გვერდით მდგომი შენობა იყო მხოლოდ 1 მეტრის დაშორებით, ხოლო აღნიშნული არ იყო საკმარისი საქვების დასამონტაჟებლად. ბელა კაპანაძის განმარტებით, სწორედ ამიტომ ვერ მოხერხდა სკოლის გაზიფიცირება. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მიმდინარეობდა მოლაპარაკებები შენობის მესაკუთრესთან და სკოლის შენობის შესყიდვის შემთხვევაში, დაწესებულებაში დაიწყებოდა გაზიფიცირების პროცესი. აქვე, მან დაამატა, რომ შენობის ნაწილი უკვე წარმოადგენდა სკოლის საკუთრებას.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა სთხოვა სკოლის წარმომადგენელს დაეხუსტებინა, თუ ამ დროისთვის ვერ ახერხებდნენ შენობის გაზით უზრუნველყოფას, შეშის ღუმელების ნაცვლად, რატომ არ იყენებდნენ ელექტრო ღუმელებს. სკოლის დირექტორმა, ბელა კაპანაძემ განმარტა, რომ მას ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ჰქონდა შეხვედრები საქვების ადგილის გამოყოფის საკითხთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, სკოლამ დაიწყო ელექტრო ღუმელების შეძენა, რომლითაც პირველ სართულზე მთლიანად ჩაანაცვლა შეშის ღუმელები.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ჰქონდა თუ არა შპს ხერხემს სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი შეშის ღუმელების ჩანაცვლება. სკოლის დირექტორმა, ბელა კაპანაძემ განაცხადა, რომ ახალი სასწავლო წლიდან შეშის ღუმელები შეიცვლებოდა ელექტრო გამათბობლებით. მისი თქმით, აღნიშნულ საკითხზე უკვე დაწყებული ჰქონდა სკოლას მუშაობა, ხოლო სტრატეგიულ გეგმაში დაწესებულებას არ ჰქონდა გაწერილი შეშის ღუმელების შეცვლა.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა სკოლის სახელით და მიმართა დაწესებულების დირექტორს, თუ რას უკავშირდებოდა სკოლის სახელი. სკოლის დირექტორმა, ბელა კაპანაძემ განაცხადა, რომ ხერხემი იყო ციხე სამცხე-ჯავახეთში და მის სახელწოდებას უკავშირდებოდა დაწესებულების სახელწოდებაც.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის პროტოკოლის მიხედვით, საკლასო სივრცეში საფრთხის შემცველი იყო შეშის ღუმელების გამოყენება. ასევე, მისი განცხადებით სასწავლო დაწესებულებებში საყოფაცხოვრებო მარტივი საკითხები ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩენილიყო და მოსწავლეებს უნდა შეძლებოდათ სველი წერტილებით სარგებლობა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ სკოლას არ ჰქონდა დაცული წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის ნორმები, დაწესებულება წინასწარ უნდა მომზადებულიყო საავტორიზაციო ვიზიტისთვის. მან, ასევე, აღნიშნა, რომ სკოლა არ იყო თვითკმარი და თვითრეგულირებადი, შესაბამისად ყოველწლიურად სკოლა ვერ შეძლებდა თავად დაერეგულირებინა აღნიშნული პრობლემების გამოსწორების საკითხები. მისი აზრით, სკოლა ვერ შეძლებდა საჭიროებების იდენტიფიცირებას და, შესაბამისად, მან ვერ დაინახა სკოლის მხრიდან წარმოდგენილი შესაბამისი არგუმენტირებული პოზიცია.

სკოლის დირექტორმა, ბელა კაპანაძემ განაცხადა, რომ მოცემულ მომენტში არ იდგა წყლის პრობლემა და მოგვარებული იყო სკოლის ჰიგიენის საკითხი. სკოლას ჰყავდა დამლაგებელი, რომელიც მუდმივად აკონტროლებდა სისუფთავის ნორმებს.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ზეპირ მოსმენაზე დაყრდნობით, საბჭომ იმსჯელა, რომ ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში დაწესებულებაში უნდა განხორციელებულიყო მონიტორინგი მოქმედი ოთხივე სტანდარტის მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში ასახული და საბჭოს სხდომაზე გამოკვეთილი გარემოებების შედეგად, საბჭომ იმსჯელა, რომ ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, დაწესებულებაში უნდა განხორციელებულიყო მონიტორინგი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 175 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ხერხემის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 175 - ით განსაზღვრის საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 17 მარტის N53 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2017 წლის 17 მარტს 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2023 წლის 17 მარტს.

საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ხერხემს (ს/კ: 224089420) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 175 - ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 17 მარტი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, დაწესებულებაში მონიტორინგი განხორციელებულიყო 2024 წლის სექტემბრის თვის შემდეგ, მოქმედი ოთხი სტანდარტის მიხედვით.

საბჭოს სხდომას 16:15 საათზე შემოუერთდა საბჭოს წევრი, პეტრე ბაბილუა.

## **2. შპს ახალი ქართულ-ევროპული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ,

რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ირინა დვალმა და ვერა ყურულაშვილმა. ექსპერტმა, ირინა დვალმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 30 და 31 იანვარს. დაწესებულება სწავლას ახორციელებდა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და განმარტა, რომ პერსონალის გადამზადების, განვითარების თვალსაზრისით სკოლის ბიბლიოთეკარს გავლილი ჰქონდა გადამზადების ზოგადი პროგრამა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პროცესამდე 1 წლით ადრე განხორციელდა მონიტორინგი, რისი შედეგიც იყო ის, რომ საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში არ დაფიქსირებულა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობა. ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ გაითვალისწინა მონიტორინგის პერიოდში ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები სპორტული აქტივობებისთვის დამატებითი სივრცის გამოყოფის შესახებ და სკოლამ შენობის უკან მოაწყო სტადიონი კალათბურთის ფარებით. ასევე, დაამატა პირველ და მესამე სართულზე სველი წერტილები. განახორციელა ბიბლიოთეკის წიგნების საბიბლიოთეკო წიგნში, ელექტრონულ კატალოგში გატარება, დამუშავება, ვიზიტის პერიოდში ბიბლიოთეკა მუშაობდა „open biblio“-ს სისტემაში. გაითვალისწინა და სკოლის შინაგანაწესში შეიტანა თანამშრომელთა წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე პროცედურები.

ექსპერტმა, ირინა დვალმა განაცხადა, რომ სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან. ექსპერტის თქმით, სასკოლო სასწავლო გეგმა შედგებოდა ყველა აუცილებელი ნაწილისგან და სრულად შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. დაწყებით საფეხურზე სკოლას ჰქონდა გახანგრძლივებული სწავლების სერვისი, საგანმანათლებლო დაწესებულებაში ფუნქციონირებდა წრეები. სკოლა ხელს უწყობდა მოსწავლეთა კლუბების მუშაობას.

ექსპერტმა, ირინა დვალმა ისაუბრა სკოლის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლას 2032 წლამდე იჯარის ხელშეკრულებით აღებული ჰქონდა ორსართულიანი შენობა 854,38 კვ.მ-ის და ეზო 1000 კვ.მ.-ის ქალაქ თბილისში, შეყლაშვილის ქ. N23-ში. დაწესებულებას ჰქონდა 12 საკლასო ოთახი (დამატებით 3 ოთახი ინვენტარით, მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევისთვის), სამასწავლებლო, დირექციის ოთახები, დამატებითი სივრცე სპორტული აქტივობებისთვის, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორია 20 კომპიუტერით და ექიმის კაბინეტი.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას ვიზიტის პერიოდში ჰქონდა საევაკუაციო გეგმები, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და მექანიზმები. ექსპერტმა, ირინა დვალმა აღნიშნა, რომ სკოლას ექსპერტთა მხრიდან მიეცა რეკომენდაცია ექიმის კაბინეტში ონკანისა და ნიჟარის დამონტაჟებასთან დაკავშირებით. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასში წარმოადგინა მტკიცებულებები აღნიშნული საკითხის გამოსწორების დადასტურების მიზნით. ექიმის კაბინეტი განთავსებული იყო შენობის პირველ სართულზე. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იყო უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების არსებობა. სკოლის ეზოს პერიმეტრს აკონტროლებდა 4 კამერა, ხოლო სკოლის შენობას 5 კამერა.

ექსპერტმა, ირინა დვალმა ისაუბრა დაწესებულების ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ სკოლას ჰყავდა სასწავლო პროცესისთვის განსაზღვრული შესაბამისი



ადამიანური რესურსი. სკოლაში ვიზიტის პერიოდში დასაქმებული იყო 31 თანამშრომელი, მათგან 23 იყო მასწავლებელი, რომელთაგან 1 იყო წამყვანი მასწავლებელი, 3 მოწვეული, 1 უსტატუსო (საგზაო ნიშნების და უსაფრთხოების წესების მასწავლებელი) და 18 უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე პედაგოგი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა პროფესიული განვითარების მექანიზმები, დაწესებულებას ჰყავდა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, სკოლაში არსებობდა კათედრების ურთიერთდასწრების პრაქტიკა და ხელს უწყობდა მასწავლებელთა პროფესიულ ტრენინგებში მონაწილეობას.

ექსპერტმა, ირინა დვალმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას მიეცა რჩევები, კერძოდ, მშობლებთან კომუნიკაციის ერთიანი წესის შემუშავების შესახებ, ადაპტირებული გარემოს განვითარებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან მიმართვის თაობაზე უსაფრთხოების საკითხებზე დასკვნის მიღების შესახებ.

ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა დაამატა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში იყო თანამშრომლობითი გარემო და დაწესებულებამ გამოთქვა მზაობა გაეთვალისწინებინა ექსპერტთა მიერ აღნიშნული ყველა რჩევა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ დასვა შეკითხვა უკავშირდებოდა თუ არა სკოლის სახელწოდებაში არსებული სიტყვა „ევროპული“ რაიმე სახის პროგრამებს, კავშირებს ევროპულ სასწავლებლებთან, საერთაშორისო პროგრამებთან. ექსპერტმა, ირინა დვალმა უპასუხა, რომ სახელწოდება უკავშირდებოდა სკოლის მისიაში არსებულ ევროპულ ღირებულებებს. დაწესებულების დირექტორმა, ლალი გარდაფხაძემ აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა დაგეგმილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება იტალიის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ევროპული სწავლების მეთოდების დანერგვა. მისი თქმით, სკოლა ვიზიტამდე 1,5 წლით ადრე იმყოფებოდა რომის წმინდა სტეფანეს სახელობის სკოლაში. სკოლის დირექტორმა, ასევე, აღნიშნა, რომ სკოლა გეგმავდა ინგლისურენოვანი პროგრამის დანერგვას სკოლის კურიკულუმში.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია და თავმჯდომარის მოადგილე თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდნენ სკოლის გასვლითი ღონისძიებების დეტალებით. სკოლის დირექტორმა, ლალი გარდაფხაძემ აღნიშნა, რომ იტალიაში ვიზიტში მონაწილეობას იღებდა 15 მოსწავლე. მისი განმარტებით, სკოლა აპირებდა შეეთავაზებინა მოსწავლეებისთვის იტალიური და გერმანული ენა არასავალდებულო მომსახურების სახით.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა დასვა შეკითხვა სკოლის საათობრივ ბადესთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ სკოლის მასწავლებელთა საათობრივი განაწილების მიხედვით, საგანი „საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების წესები“ და საგანი „სპორტი“ არ ისწავლებოდა დაწესებულებაში მეთერთმეტე კლასის I სემესტრში და მეთორმეტე კლასის II სემესტრში. ვინაიდან, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელიმე სავალდებულო საგნის ამოღება საათობრივი ბადიდან დაუშვებელი იყო, საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ როგორი იქნებოდა სკოლის განმარტება. ექსპერტებმა დააზუსტეს, რომ სკოლის განმარტებით, დაწესებულების მიერ ექსპერტებთან წინასწარ გაგზავნილ დოკუმენტში იყო ხარვეზი და ვიზიტის პერიოდში წარდგენილ დოკუმენტში აღნიშნული შეუსაბამობა სკოლის მიერ არ დაფიქსირებულა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 300 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ახალი ქართულ-ევროპული სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 07 ივლისის N85 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2017 წლის 07 ივლისის 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2023 წლის 07 ივლისის.

საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ახალ ქართულ-ევროპულ სკოლას (ს/კ: 402047771) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 07 ივლისი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

### **3. შპს თბილისის თავისუფალი სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა და ვერა ყურულაშვილმა. ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 23 და 24 იანვარს. ექსპერტმა ისაუბრა ვიზიტის დროს გამოვლენილ მთავარ მიგნებებზე და აღნიშნა, რომ შპს თბილისის თავისუფალი სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N240-ში, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, უძრავი ქონების მესაკუთრე იყო „შპს აგრომეტი“, რომელთანაც 2018 წელს სკოლას გაფორმებული ჰქონდა შენობის ჯამურ 7835,3 კვ.მ. ფართზე და 2863 კვ.მ მიწის ფართზე იჯარის ხელშეკრულება 2033 წლის პირველ სექტემბრამდე.

ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა განაცხადა, რომ შენობაში ჯამში 65 საკლასო ოთახი იყო. ვიზუალური დათვალიერებით, საკლასო ოთახებში შესაძლებელი იყო 24 მოსწავლის განთავსება, ხოლო მცირე ზომის საკლასო ოთახებში 16 მოსწავლის. მან, აქვე, აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ადგილზე განთავსებული და დასაწყობებული იყო 1243 ინდივიდუალური სარგებლობის მერხი და სკამი. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 10 იანვარს დადებული 205 ერთეული ინდივიდუალური სარგებლობის მერხისა და სკამის შეძენის შესახებ ხელშეკრულება, რომლის პირობების თანახმადაც, მიმწოდებელი ვალდებული იყო 60 კალენდარულ დღეში მიეწოდებინა საქონელი, ხოლო შესასყიდი ობიექტის 30% ანგარიშსწორება განხორციელდებოდა ხელშეკრულების დადებიდან 20 დღის ვადაში. შესაბამისად, ზემოაღნიშნული შესყიდვის ხელშეკრულების გათვალისწინებით და ფაქტობრივი მდგომარეობით, სკოლას ექნებოდა 1448 ერთეული ინდივიდუალური საჭიროების მერხი და სკამი და შეძლებდა შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1448 მოსწავლისათვის.

ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა განაცხადა, რომ სკოლაში შექმნილი იყო 46 ფინანსური კლასი, სადაც მოსწავლეები არათანაბრად იყვნენ გადანაწილებულები. ექსპერტის თქმით, სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც, მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდა მოიაზრებოდა არსებულ კლასებში და არა პარალელური კლასების შექმნით.

ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა განმარტა, რომ ინტერნეტ ქსელში ჩართული იყო 118 კომპიუტერი, მათ შორის მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომი იყო ლეპტოპები. ექსპერტის განცხადებით, შენობის პირველ სართულზე მოწყობილი იყო ექიმის კაბინეტი კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი აღჭურვილობით. ვიზიტის პერიოდში სკოლას ემსახურებოდა ერთი ექიმი და ერთი ექთან, რომელთა კვალიფიკაცია შესაბამისობაში იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/501-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებთან. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლამ გამოაცხადა ვაკანსია დამატებით ექიმის პოზიციაზე. ექსპერტის თქმით, სკოლას ჰქონდა ორი სპორტული დარბაზი, ხოლო მესამე სპორტულ დარბაზთან დაკავშირებით კი გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება. ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა განაცხადა, რომ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად სკოლას შეთანხმებული ჰქონდა განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან „შპს თბილისის თავისუფალი სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“.

ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულების ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით და განმარტა, რომ სკოლაში დასაქმებული იყო 123 თანამშრომელი, რომელთაგან 76 იყო მასწავლებელი. მისი თქმით, პედაგოგები შერჩეული იყვნენ კანონმდებლობის შესაბამისად და მათთან გაფორმებული იყო შრომის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისი ხელშეკრულებები.

ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა განაცხადა, რომ სკოლის გარე პერიმეტრს აკონტროლებდა 17 ვიდეო კამერა, ხოლო სკოლის შიდა პერიმეტრზე 104 ვიდეოკამერა იყო დამონტაჟებული. მათ შორის 57 კამერა იყო დამონტაჟებული ყველა საკლასო ოთახში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა „შპს თბილისის თავისუფალი სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“, რომლის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით „ვიდეოთვალთვალის განხორციელება ან/და აუდიო ჩაწერა შესაძლებელია საკლასო ოთახებში გამოცდის/შემაჯამებელი წერის/ტესტირებების წერის ჩატარების დროს“. ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმაში გადაამოწმა, თუ რა ტიპის გამოცდები ტარდებოდა სკოლაში. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში ტარდებოდა სემესტრული, საშემოდგომო, ექსტერნის გამოცდები, ასევე, სკოლაში ხარისხის კონტროლისა და მისი გაუმჯობესების მიზნით ტარდებოდა ადმინისტრაციული და დიაგნოსტიკური წერები. ექსპერტმა განმარტა, რომ ადმინისტრაციული წერები მიმდინარე სასწავლო წელს დაგეგმილი იყო საგნებში პირველი უცხო ენა და ქართული ენა და ლიტერატურა. სასკოლო სასწავლო გეგმის ჩანაწერის მიხედვით, თითოეული ადმინისტრაციული წერის შემდეგ კეთდებოდა სტატისტიკური ანალიზი. აქვე, I-IV კლასებში ადმინისტრაციული წერები ფასდებოდა განმავითარებელი შეფასებით, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურებზე ქულებით და ადმინისტრაციულ წერაზე მიღებული შეფასება გავლენას არ ახდენდა მიმდინარე შეფასებაზე. აღნიშნულის მიზანი იყო ცოდნის დონის დიაგნოსტიკა, პრობლემის აღმოჩენა და გასაუმჯობესებელი გზების ძიება. ექსპერტმა განაცხადა, რომ ინტერვიუების დროს, პედაგოგების მიერ დადასტურდა მათი მხრიდან დირექციისთვის მიმართვა კონკრეტული წერისა თუ ტესტირების დროს. მათი თქმით, უზრუნველყოფილი იყვნენ ტესტირების ჩაწერით. ამრიგად, ექსპერტმა განაცხადა, ვინაიდან ადგილი ჰქონდა პერსონალური მონაცემების მოპოვებასა და მის დამუშავებას, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით მიზანშეწონილი იყო სკოლას მარეგულირებელ დოკუმენტში დეტალურად ჰქონოდა გაწერილი ისეთი პროცედურული საკითხები, როგორცაა მაგალითად, ტესტირების ვიდეოჩანაწერების შენახვის ხანგრძლივობა, მათი შემდგომი განადგურების საკითხი, ჩანაწერის ნებართვის გაცემა პერიოდის მითითებით, მასწავლებლების მიერ წინასწარი მიმართვის ფორმით საჭიროებისამებრ ჩაწერის მოთხოვნაზე განაცხადის გაკეთება, სასკოლო სასწავლო გეგმაში ადმინისტრაციული წერების პერიოდი და სხვა ის პროცედურები, რომელიც მკაცრად განსაზღვრავდა საკლასო სივრცეში ვიდეოგადაღების საკითხს. ამასთან, ექსპერტმა განაცხადა, რომ საჯარო და კერძო დაწესებულებების შენობების ვიდეოთვალთვალის წესი განსაზღვრული იყო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, რომლის მე-3 პუნქტის შესაბამისად „სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის სისტემის დაყენება შესაძლებელია, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, თუ აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის საიდუმლო ინფორმაციის დაცვის და გამოცდის /ტესტირების მიზნებისათვის“. შესაბამისად, სკოლამ ვერ წარმოადგინა შესაბამისი დასაბუთება საკლასო ოთახებში ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის ტესტირებების დროს გამოყენების გარდაუვალობის აუცილებლობის შესახებ.

ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული ექსპერტთა მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტთან შეუსაბამოდ და ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, განსაკუთრებული სიფრთხილით მოკიდებოდა სასწავლო სივრცეებში (კლასებში) ვიდეოთვალთვალს და ეს საშუალება გამოეყენებინა უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში. ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, მნიშვნელოვანი იყო სკოლას შეექმნა და დაენერგა კლასებში ტესტირების პროცესში ვიდეოკონტროლის ეფექტიანი მექანიზმი. აქვე, ექსპერტმა განაცხადა, რომ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა რეკომენდაციები და წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „შპს თბილისის თავისუფალი სკოლის საკლასო ოთახებში ვიდეოკონტროლის განხორციელების წესი“, რომლის მიზანი იყო განესაზღვრა სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები,

უზრუნველყო დამუშავების პროცესი კანონმდებლობისა და „შპს თბილისის თავისუფალი სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად წარმართვა. აღნიშნულის შესაბამისად, განსაზღვრული იყო ტესტირების მიზნობრიობა და კლასებში ვედომეთვალყურეობის საშუალების მექანიზმი, ჩანაწერების კონფიდენციალურობის მართვა და განადგურების საკითხები.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრი, გიორგი გიგიბერია დაინტერესდა ყველა კლასში ტარდებოდა თუ არა ტესტირებები და გამოცდები. სკოლის დირექტორის მოადგილემ, ირმა მეფარიძემ განაცხადა, რომ კონტროლის მიზნით, თითქმის ყველა კლასში ტარდებოდა დიაგნოსტიკური წერები.

საბჭოს წევრმა, გიორგი გიგიბერიამ აღნიშნა, რომ საკლასო ოთახებში კამერების არსებობის საკითხი იყო მიუღებელი, რადგან აღნიშნული ეხებოდა პირთა პერსონალური მონაცემების დაცვას. დაწესებულების დირექტორის მოადგილემ, ირმა მეფარიძემ განაცხადა, რომ სკოლას აღნიშნული საკითხი გაწერილი ჰქონდა „შპს თბილისის თავისუფალი სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესახებ წესში, რომელიც შეთანხმებული ჰქონდა საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან.

საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა დააფიქსირა პოზიცია და განაცხადა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები ითვალისწინებდა პრეზენტაციისა და წარდგენის უნარების მოსწავლეებში განვითარებას. ამდენად, მოსწავლეების შეფასებაში ღია კითხვების გამოყენებისას უნდა ყოფილიყო შეფასების სქემა. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ დახურულბოლოიანი კითხვების რაოდენობა მინიმალური უნდა ყოფილიყო სწავლა-სწავლების პროცესში, ვიდემეთვალყურეობის სისტემის არსებობა კი ამ შემთხვევაში აღარ იქნებოდა საჭირო.

საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე დაინტერესდა, იყო თუ არა ვიდეო კამერები ჩართული სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. სკოლის დირექტორის მოადგილემ, ირმა მეფარიძემ განაცხადა, რომ გარკვეული პერიოდულობით ვიდეო კამერების ჩართვა-გამორთვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა IT-მენეჯერს. ჩანაწერები კი იშლებოდა ჩაწერიდან 2 დღის განმავლობაში, ხოლო სასწავლო პროცესის დროს ჩართული არ იყო.

საბჭოს წევრი, გიორგი გიგიბერია დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას თანხმობა მშობლების, მასწავლებლებისა და სკოლის პერსონალის მხრიდან პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით, რადგან ყველა საკლასო ოთახში იყო ვიდეო კამერა. რაზეც ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა განაცხადა, რომ მათ გადაამოწმეს მოსწავლეთა მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, სადაც გაწერილი იყო მუხლი აღნიშნულ თანხმობასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, მაკა მამფორია დაინტერესდა, თუ ვინ ასწორებდა ტესტებს. სკოლის დირექტორის მოადგილემ, ირმა მეფარიძემ განაცხადა, რომ დიაგნოსტიკურ წერებს ამოწმებდა შესაბამისი კათედრის ხელმძღვანელი.

საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდა, თუ აღნიშნული წერები მხოლოდ დიაგნოსტიკური ხასიათის იყო, რა როლს ასრულებდა სააპელაციო გუნდი. სკოლის დირექტორის მოადგილემ, ირმა მეფარიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ მშობელს ინდივიდუალურად ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა შვილის ნაშრომს. მან დაამატა, რომ ტესტირების პროცესში შესაძლებელი იყო ტექნიკური მხარე არ ყოფილიყო მოწესრიგებული, შესაბამისად, მოსწავლეს შეეძლო აღნიშნულის გასაჩივრება.

საბჭოს წევრი, მაკა მამფორია დაინტერესდა იყვნენ, თუ არა მოსწავლეები ინფორმირებული დიაგნოსტიკური წერის მიზნის შესახებ. დაწესებულების დირექტორის მოადგილემ, ირმა მეფარიძემ განაცხადა, რომ მოსწავლეები ინფორმირებულები იყვნენ დიაგნოსტიკური წერის მიზნის შესახებ, ხოლო რაც შეეხებოდა შეფასებას, მოსწავლეები საბაზო და საშუალო საფეხურზე ფასდებოდნენ პროცენტულად, მაგრამ აღნიშნული მიმდინარე ქულებზე არ აისახებოდა.

საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა ვიდეოსათვალთვალ კამერების მიზნობრიობასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ სკოლა მცირეკონტიგენტიანი იყო და შემაჯამებელი წერების ჩატარება შესაძლებელი იყო ცალკე საგამოცდო ოთახში, სადაც არ იქნებოდა საკლასო ოთახი განთავსებული. გარდა ამისა, საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რატომ ტარდებოდა ყველა შემაჯამებელი სამუშაო წერითი ფორმით. სკოლის დირექტორის მოადგილემ, ირმა მეფარიძემ განაცხადა, რომ ყველა შემაჯამებელი სამუშაო არ ხორციელდებოდა მხოლოდ წერითი სახით, მასში ჩართული იყო რამდენიმე კომპონენტი, მათ შორის პრეზენტაციები.

საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი, ასევე, დაინტერესდა სკოლაში არსებული რეკრეაციული ზონით და განაცხადა, რომ რადგან სკოლაში მდებარეობდა რეკრეაციული ზონა, მათ შეეძლოთ აღნიშნული სივრცე მოეწყოთ და გამოეყენებინათ ადმინისტრაციული წერებისთვის. საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა დააფიქსირა პოზიცია და აღნიშნა, რომ ვიდეოკონტროლი საკლასო სივრცეებში იყო ბავშვთა უფლებების დარღვევა. დაწესებულების დირექტორმა, ამირან ამბროლაძემ განაცხადა, რომ ტესტირებისას საკლასო ოთახებში დამონტაჟებული ვიდეო კამერები სკოლას ეხმარებოდა პლაგიატის აღმოფხვრაში. დაწესებულების დირექტორის მოადგილემ, ირმა მეფარიძემ განაცხადა, რომ ვიდეოსამეთვალყურეო კამერები არ იყო ერთადერთი საშუალება პლაგიატთან ბრძოლაში, დაწესებულება მუდმივად ზრუნავდა მოსწავლეებში ღირებულებების ჩამოყალიბებაზე. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ დაამატა, რომ უკვე არსებობდა პლაგიატთან ბრძოლის სხვადასხვა მეტად ეფექტური პროგრამა, ვიდრე ვიდეოსამეთვალყურეო კამერები იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა საბჭოს წევრებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 1448 მოსწავლისათვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭომ იმსჯელა სხდომაზე გამოკვეთილი გარემოებების შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება, რომ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1448-ით განსაზღვრის შემთხვევაში, სკოლა ვალდებული იყო ყველა საკლასო ოთახში მოეხდინა ვიდეო კამერების დემონტაჟი, ხოლო საგამოცდო სივრცისთვის ცალკე მოეწყო დაწესებულებას ოთახი, სადაც დამონტაჟებული იქნებოდა კამერა, თუმცა აღნიშნულ სივრცეში არ ჩატარდებოდა გაკვეთილები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1448-ით განსაზღვრის საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-9 პუნქტისა და მე-11 პუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალ სკოლას

(ს/კ: 405234438) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1448 მოსწავლით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 06 მარტი.

საბჭოს წევრების ერთობლივი გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, უნდა მოეხდინა ყველა საკლასო ოთახში ვიდეო კამერების დემონტაჟი და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში წარმოედგინა ცენტრში. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სკოლას სურვილი ჰქონდა ტესტირებების დროს გამოეყენებინა ვედეო კამერით კონტროლის მექანიზმი, უნდა მოეწყო ცალკე საგამოცდო სივრცე(ები), სადაც არ ჩატარდებოდა გაკვეთილები და აღნიშნული სივრცე(ები) განუთავნილი იქნებოდა მხოლოდ ტესტირებების ჩატარებისთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:40 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების  
ავტორიზაციის საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების  
ავტორიზაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
ჯინქარაძე მანანა

